



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება



MES 8 20 00252413



27/02/2020

„ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №170 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2020 წლის 20 თებერვლის №223530 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილება „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №170 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. ექსპერტთა ატესტაციაში ექსპერტის მიერ არასაპატიო მიზეზით მონაწილეობის არ მიღება წარმოადგენს ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საფუძველს. ამასთან, საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, ექსპერტი ვალდებულია ცენტრში წარმოადგინოს საპატიო მიზეზის არსებობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები და მასალები, ექსპერტთა ატესტაციაში მონაწილეობის ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში. ცენტრის მიერ ექსპერტთა ატესტაციაში ექსპერტის მონაწილეობის ვერ მიღების ფაქტის საპატიოდ ცნობის შემთხვევაში, ექსპერტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განსახორციელებელი აქტივობები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ

თ. ძახალაშვილი